# საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიამ გერმანიიდან წერილი მიიღო



ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

უდიდესი კმაყოფილებით შევხვდი ცნობას საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად ჩემი არჩევის თაობაზე.

საერთაშორისო ინტერნაციონალური აკადემია, რომლის დამფუძნებელი და პრეზიდენტ &o'Ъ6з'Ъo\1 83(^603^34^00» იანებს ჯერ-ჯერობით ოცზე მეტი ქვეყნის ასზე მეტ კომპეტენტურ საყოველთაოდ აღიარებულ მეცნიერს ევროპის ქვეყნებიდან, ევროკავშირში ასოცირებული აღმოსავლეთ და შუა ევროპის ქვეყნებიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ისრაელიდან, იაპონიიდან, სამხრეთ კორეიდან, ასევე განვითარებადი ქვეყნებიდან. ჩვენი აკადემიის მიზანი და ამოცანები თითქმის ისეთივეა, როგორც თქვენი – საქართველოს აკადემიისა. მით უფრო ამიტომ ჩემთვის და ამ აკადემიის სამეცნიერო საბჭოსთვის დიდი პატივი იქნება თუ თქვენ მიიღებთ ჩვენს თხოვნას და გახდებით საერთაშორისო ინტერნაციონალური აკადემიის წევრი.

პირადად თქვენთან და თქვენს აკადემიასთან თანამშრომლობისათვის ჩვენი აკადემია მზად არის. ვფიქრობთ, ჩვენ ერთობლივად უნდა შევიმუშაოთ ქართულ-გერმანული თანამშრომლობის პროექტები, რაც აქედანვე საფუძველი გახდება ორივე აკადემიის მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობისა. იმედი მაქვს ჩვენი ერთობლივი მომავალი კარგი თანამშრომლობა დიდ სარგებლობას მოუტანს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

გულთბილი სალამით –